საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №39

ქ. თბილისი 02.07.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭს თავმჯდმარე;

გიორგი ამილახვარი - შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი, სხდომის მდივანი;

სერგო ჭელიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

თეა ნადირაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

თამარ გიორგობიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ქრისტინე გაბისონია - ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის, სააპელაციო და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომებზე აუდიოჩაწერაზე პასუხისმგებელი პირი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს კავკასიის უნივერსიტეტი:
ხატია გოგლიძე - დაწესებულების ვიცე-პრეზიდენტი ადმინისტრაციულ და მონიტორინგის დარგში;
ნუგზარ სხირტლაძე - დაწესებულების ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში;
დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
დავით ნატროშვილი - კავკასიის ჰუმანიტარულ და მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
ქეთევან გრძელიძე - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
შოთა ნიჟარაძე - კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის დეკანი;
მაქსიმ იავიჩი - ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო და ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს უნივერსიტეტი:

ეკა გეგეშიძე - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
მაია ამაშუკელი - ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
ნოდარ ხერხეულიძე - საჯარო ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი;
გიორგი ლომიძე - ეკონომიკის დეპარტამენტის უფროსი;
არჩილ ჯანგირაშვილი - აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
მარიამ სილაგავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი;
ჯონი მწარიაშვილი - ავტორიზაციის განყოფილების უფროსი;
სოსო გოგილიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
აკაკი ცომაია - ასოცირებული პროფესორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ნინო ჯოჯუა
ინგა დიაკონიძე
მანანა ხაჩიძე
მაგდა ცინცაძე
სალომე ონიანი
ოთარ ქოჩორაძე
თამარ კაკუტია
ლაშა ანაკიძე
მერაბ კაკულია
მაია ზარამიძე
ნინო ტალიკაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:05 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 10 წევრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა. სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს - სალომე თოთიბაძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შეამდგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში 1005
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რათა მას დაეფიქსირებინა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება დადებითია და უმეტესწილად აკმაყოფილებს სტანდარტებს, პროგრამა უზრუნველყოფს ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტების პროაქტიული უნარებით, სპეციალობის გაღრმავების ხარჯზე, დამატებითი უნარების განვითარების შესაძლებლობას, კერძოდ, მთარგმნელობითი პროფესიული უნარის გამომუშავების საშუალებას, რის მიღწევასაც მიზნად ისახავს პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების იმპლემენტაცია. დოკუმენტაციის ანალიზისა და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად პროგრამის დადებით მხარეს წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შედეგის შეთავაზება, რაც ნათლად იკვეთება სტუდენტებთან გასაუბრების დროს. რაც შეეხება პროგრამის მიზანსა და შედეგებს, ნათლად არის ჩამოყალიბებული ცალკეული ერთეული ეპიზოდების გარდა. ექსპერტის განმარტებით, მიზნების ჩამოყალიბებებში წერია, რომ პროგრამა უზრუნველყოფს ინგლისური ენის C1 დონეზე სტუდენტის მომზადებას, საუბრისა და წარმოთქმის კომპონენტის ჩათვლით, რაც ექსპერტთა ჯგუფს არ მიაჩნია მართებულად, რადგან დაკმაყოფილებული უნდა იყოს ინგლისური ენის ოთხივე კომპეტენცია, როგორიც არის პროდიქციული უნარები, საუბრისა და წერის განვითარება და არა მხოლოდ საუბარი. ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული მარტივად გამოსასწორებელია.

ექსპერტის მოსაზრებით, მოსალოდნელი სწავლის შედეგები არის მიღწევადი, რასაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შინაარსისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ერთმანეთთან შესაბამისობა. ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი შენიშვნა ეხება პროგრამის ინტერნაციონალიზაციას. ინგლისური ენის მცოდნე სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ აუცილებლად შეხება ე. წ ცოცხალ ენასთან, რადგან პროგრამაში არ დასტურდება ცოცხალ (native) ენაზე მოსაუბრე ლექტორების ჩართულობა. სტუდენტებს არ აქვთ საშუალება მობილობით გაემგზავრონ საზღვარგარეთ, შესაბამისად არარეალისტური არის ისეთი პროფესიონალის მომზადება, რომელთაც მხოლოდ წიგნებიდან ექნებათ ნასწავლი ინგლისური ენა. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას სტრატეგიულ გეგმაში ერთ - ერთ მთავარ პრიორიტეტად აქვს მითითებული ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განვითარება, შესაბამისად საჭირო არის აღნიშნული კუთხით მეტი მუშაობის ჩატარება. ექსპერტებისთვის სასიამოვნო იყო ის გარემოება, რომ პროგრამის ხელმძღვანელობა მზაობას გამოთქვამს ყოველგვარი ცვლილების და გაუმჯობესების კუთხით, თუმცა აუცილებელი არის განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტალურადაც ასახვა და შემდეგი ეტაპისთვის ყველა დაინტერესებული და ჩართული პირის მზადყოფნა. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ინტერვიუზე გაესაუბრნენ დამსაქმებლებსაც, საიდანაც არ გამოიკვეთა მათი უშუალოდ პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, მათ გადაეგზავნათ მზა პროდუქტი, რაც არ არის საკმარისი.

ექსპერტის განცხადებით, ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი და ხარისხის შეფასება. პროგრამას დაემატა სხვადასხვა კურსი, არსებობს ოქმიც, რომელიც არის სქემატური, თუმცა ძირითადი მათი შენიშვნა ეხება კოლეგიალურ დასწრებას. საერთაშორისო პრაქტიკით და ყველა თავმომწონე უნივერსიტეტში საერთაშორისო მასშტაბით დღესდღეობით უკვე საკმაოდ აღიარებული არის კოლეგიალური ურთიერთდასწრება, რაც კვლევების თანახმადაც ასაბუთებს ლექციაზე, პრაქტიკულ მეცადინეობაზე ჩატარებული სწავლისა და მეცადინეობის ხარისხს, მითუფრო მაშინ, როდესაც პროფესორ მასწავლებლები საკუთარი ინიციატივით ახორციელებენ აღნიშნულ პრაქტიკას. ექსპერტები თვლიან, რომ პერიოდული სახით უნდა განხორციელდეს კოლეგიალური დასწრება და

შემუშავებული იყოს დასწრების კრიტერიუმები, რაც პროფესორსაც დაეხმარება და პროგრამასაც დადებით შედეგებს მოუტანს.

ექსპერტის მოსაზრებით, შედეგების შეფასება არის სანდო, დაშიფრული და ანონიმური, თუმცა საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ეხება ენის სწავლებას, ერთი შემფასებელი არ არის საკმარისი და არ ადასტურებს ვალიდურობას. ყველა უნივერსიტეტში არის დასკვნითი გამოცდა, რომელიც უნდა შეფასდეს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ. ექსპერტთა თავჯდომარის თქმით მათ, ასევე, აქვთ შენიშვნა კონცენტრაციის მოდულთან დაკავშირებით, რომელიც არის არჩევითი, მაგრამ დარგობრივ თარგმანს გულისხმობს მხოლოდ იურიდიული და ბიზნესის მიზნებისთვის. ექსპერტის მოსაზრებით საჭიროა ჩასწორდეს სახელწოდება, მკაფიოდ განისაზღვროს მიზნები და მოყვანილი იყოს შესაბამისობაში კურსის შინაარსთან, გამოყენებული სახელმძღვანელო არ არის თარგმანზე ორიენტირებული, სპეციალური მიზნებისათვის ჰქონდათ მხოლოდ სახელმძღვანელო „ი ეს ბი", რაც ასევე აღინიშნა ვიზიტის დროსაც. ექსპერტმა ხაზი გაუსვა კარგ პრაქტიკასაც, როგორიც არის სამეცნიერო საქმიანობის წახალისების რეიტინგული გეგმა და რეკომენდაციების გაცემა დამსაქმებელთან, სამეცნიერო აქტივობებში მონაწილე სტუდენტების უპირატესობის მინიჭება საერთაშორისო გაცვლით პროგრამების კონკურსებში და პროფესორ - მასწავლებლების მიერ ინიცირებული ურთიერთდასწრების პრაქტიკა. ექსპერტმა საბჭოს ასევე გააცნო უშუალოდ დასკვნაში ჩამოყალიბებული რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია ჩასწორდეს პროგრამის მიზნების ბლოკი;
2. გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია და პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით;
3. პროგრამის შემუშავებასა და დაგეგმვის პროცესში გაძლიერდეს ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობა (დამსაქმებლის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და სხვა.) და პროგრამას დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია;
4. გადაიხედოს და დაიხვეწოს კონცენტრაციის მოდულის სასწავლო კურსების სახელწოდება და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან;
5. ზუსტად განისაზღვროს და/ან დაზუსტდეს კონცენტრაციის მოდულის კურსის „დარგობრივი თარგმანი" სახელწოდება, მიზნები და შედეგები და ზედმიწევნით შესაბამისობაში იყოს მოყვანილი კურსის შინაარსთან;
6. საჭიროა პროგრამაში ჩართული ყველა და არა ცალკეული პერსონალის პროფესიული განვითარების აქტიური მხარდაჭერა დაწესებულების მხრიდან;
7. პროგრამის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, საჭიროა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწა-გააქტიურება უშუალოდ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში;
8. თვითშეფასების ანგარიშში ასახული საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა მოცემული პროგრამის შეფასების პროცესში არ დასტურდება. შესაბამისად საჭიროა დაზუსტდეს და გამჭვირვალე გახდეს პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მექანიზმები;
9. ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა გაძლიერდეს პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება და შედეგები დადასტურდეს დოკუმენტურად.

რჩევები:

1. სასურველია ვებ-გვერდზე ჩასწორდეს მიზნები პროგრამის ზოგადი აღწერილობის ბლოკში;
2. სასურველია პროგრამას დაემატოს პედაგოგიური თეორიისა და პრქატიკის კომპონენტი;
3. ჩარიცხული სტუდენტებისათვის ჩატარდეს ინგლისურ ენაზე საუბრის დონის განმსაზღვრელი გასაუბრება;

4. სასურველია მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით, მკაფიოდ და ლოგიკურად განისაზღვროს თითოეულ სასწავლო კურსზე შესაბამისი კრედიტების მინიჭების მექანიზმი;
5. სასურველია ერთეული კურსების შემთხვევაში გადაიხედოს, დაზუსტდეს და მკაფიოდ განისაზღვროს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა;
6. სასურველია პროგრამაში გაძლიერდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი;
7. სასურველია სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ;
8. სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით პროგრამის ხარისხის შემდგომი განვითარების მიზნით;
9. სასურველია პროგრამაში დაინერგოს და განხორციელდეს კოლეგიალური შეფასებისა და პედაგოგის მხრიდან საკუთარი სწავლების პროცესზე დაკვირვების მექანიზმი კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მიზნების ბლოკთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ მიზნების ბლოკში აქვთ ჩანაწერი იმის შესახებ, რომ პროგრამის მიზანია სტუდენტმა შეისწავლოს გამართულად ინგლისურ ენაზე საუბარი, გამოთქმისა და ენის გამოყენების ჩათვლით. მისი აზრით უფრო დასაკონკრეტებელია გამოყენების თვალსაზრისით რას მოიაზრებს ჩანაწერი, წერით უნარებს და ა.შ, რაც გადახედილი და დაკონკრეტებული უნდა იყოს. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი აღნიშნული კუთხით გახლავთ ერთ - ერთი მოწინავე, აქვთ გაფორმებული ბევრი საერთაშორისო მემორანდუმი, ჰყავთ უცხოელი პარტნიორები და აქვთ გაცვლითი პროგრამები.

საბჭოს თავჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენ სტუდენტს ჰქონდა მონაწილეობა მიღებული გაცვლით პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონკრეტულად აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ცოტას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სთავაზობდნენ სტუდენტებს. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ მაგისტრატურის სტუდენტებს უფრო მეტი ინტერესი აქვთ ისარგებლონ გაცვლითი პროგრამით, ასევე აღინიშნა ის, რომ ბაკალავრიატის სტუდენტები პარალელურად მაღალ კურსებზე მუშაობენ და შესაბამისად ეს ფაქტორები იწვევს აღნიშნულ გარემოებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინტერნაციონალიზაცია მხოლოდ სტუდენტების საზღვარგარეთ წასვლას არ ნიშნავს, აღსანიშნავია, რომ პროგრამების დირექტორს ჰქონდა შეხვედრა ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლებთან იმავე დღეს, სადაც საუბარი შეეხო უშუალოდ აღნიშნული ფაკულტეტის სტუდენტების გაცვლით პროგრამაზე. მან ყურადღება გაამახვილა, IN HOME - სახლში ინტერნაციონალიზაციის პრინციპზე, რაც გულისხმობს უცხოელი სპეციალისტების მოზიდვას უნივერსიტეტში. პროგრამის ფარგლებში მათ ჰყავთ რამდენიმე სპეციალისტი, მათ შორის ნიუ - იორკის უნივერსიტეტიდან, თუმცა სტუდენტებს უფრო მეტად სურთ სახლში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განვითარება. უნივერსიტეტს აქვს პარტნიორობა 52 უნივერსიტეტთან ერასმუსის ფარგლებში და პედაგოგიურ უნივერსიტეტში უშუალოდ ინგლისურის კომპეტენციისთვის, თუმცა დაწესებულება აუცილებლად გააგრძელებს მუშაობას აღნიშნული კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მესამე რეკომენდაცია ეხება დაწესებულების მხარეების ჩართულობას. მისი თქმით, ჩართული არის ყველა სეგმენტი და მუშაობს გამართულად, როგორც შიდა პროფესორ - მასწავლებლები, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. დამსაქმებლებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ სამწუხაროდ გრაფიკის გამო, ვიზიტის დროს ვერ შეძლეს კონკრეტულად იმ დამსაქმებლების წარმოდგენა, რომლებიც უშუალოდ წლების განმავლობაში იყვნენ ჩართულები. ოქმებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მათ აქვთ

გაკეთებული რამდენიმე ოქმი, თუმცა ყველა შეხვედრა ოქმში არ იყო ასახული, მაგრამ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ სამომავლოდ.

დაწესებულების წარმომადგენელმა სასწავლო კურსებთან, მიზნებისა და შედეგების მოდიფიცირებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი მუშაობენ ამ მიმართულებით და მზად არიან მოახდინონ დარგობრივი თარგმანის კურსის მოდიფიცირება. შექმნილი არის სამოქმედო ჯგუფი, სადაც ჩართულები არიან პროგრამის ხელმძღვანელებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა პერსონალის შესაძლებლობების მხარდაჭერასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს, როგორც მოწვეულს, ასევე, მათ პერსონალს, სთავაზობენ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას, აპლიკაციის დაბეჭდვას, და ა.შ., თუმცა მისი განმარტებით, ჰყავთ უფრო მეტად აქტიური პერსონალიც, რომელიც ცდილობს აღნიშნული შესაძლებლობების გამოყენებას. უნივერსიტეტი ამ კუთხით აგრძელებს მუშაობას, აქვთ ახალი მექანიზმები კონკრეტულად აფილირებული პროფესორებისთვის, სექტემბრიდან მათ შესთავაზებენ მუდმივ ხელფასს.

პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწასთან და თვითშეფასების ანგარიშში საერთაშორისო ექსპერტიზის ჩართულობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეგიალური დასწრება მათ არ აქვთ რეგულაციაში ვალდებულების სახით გაწერილი, ისინი გეგმავენ გამოკითხვის გაკეთებას, იმის დასადასტურებლად თუ რამდენად იქნებოდა მზაობა, რომ კოლეგიური დასწრება გამხდარიყო სავალდებულო. თუმცა მიმდინარე ეტაპზე ურთიერთდასწრება გახლავთ ნებაყოფლობითი. რაც შეეხებოდა საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობას, თვითშეფასების ანგარიშში არის აღწერილი მექანიზმის არსებობა, რომელსაც ხშირად იყენებს დაწესებულება, თუმცა, პროგრამის ფარგლებში აღნიშნული აქტივობა საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით არ განხორციელებულა, მათ არ აქვთ გაფორმებული მემორანდუმი, თუმცა, მუდმივად იღებენ საერთაშორისო ექსპერტებისაგან რჩევებს. მიმდინარე პერიოდში გაცვლით პროგრამაზე იმყოფებოდა პროგრამის დირექტორი, რომელიც ჩამოიტანდა გარკვეულ რეკომენდაციებს, რასაც რა თქმა უნდა გაითვალისწინებენ.

რაც შეეხებოდა ერთზე მეტ შემფასებელს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იყო გარკვეული სასწავლო კურსები, რომელიც მოიაზრებდა ზეპირ დასკვნით გამოცდას. ასეთ შემთხვევაში, მათ ჰყავთ ერთზე მეტი შემფასებელი, თუმცა ისეთი გამოცდები, როგორიც იყო წერითი, დაწესებულების მოსაზრებით არ არის საჭირო ორმაგი გადამოწმება (double checking).

ექსპერტმა უპასუხა, რომ როდესაც მიდის საუბარი ინგლისურ ენაზე, მითუმეტეს აკადემიური წერის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სუბიექტურობის მომენტი შესაძლებელია არ იყოს დაცული. მაგალითად, ინგლისურ ენაზე თხზულების მოყოლის შემთხვევაში, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ნებისმიერი ტესტი C1 დონის საჭიროებს ორ შემფასებელს. მას ესმის, რომ აღნიშნულის განხორციელება რთულია (ადმინისტრირების კუთხით) თუმცა საჭირო იყო სუბიექტურობის გამოსარიცხად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება პატივს სცემდა პროფესორის აკადემიურ თავისუფლებას, მათ მიდგომებს და აქვთ პროფესორების მიმართ ნდობა, ნაწერები არის დაშიფრული და ლექტორმა არ იცის ვის ნაშრომს ასწორებს, გარდა ამისა არსებობს გასაჩივრების პროცედურებიც, როდესაც საჭიროება მოითხოვს აპელაციის პროცესში ასევე რთავენ გარე ექსპერტსაც.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული გახლდათ დაწესებულების გადასაწყვეტი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, თუმცა როდესაც საქმე ეხება უცხო ენას, ეთანხმებოდა ექსპერტების მოსაზრებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, კურსდამთვარებულთა რამდენი პროცენტი იყო დასაქმებული პროფესიით და რას მოიცავდა ძირითადი დასაქმების ბაზარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ჰყავდათ 4 კურსდამთავრებული, აქედან 2 დასაქმებული არის კერძო საშუალო სკოლაში და 1 ეწეოდა პროფესიული საქმიანობას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ჯგუფი გაესაუბრა დასაქმებულ გოგონას, რომელიც იყო მომზადებული ძალიან კარგად, თუმცა მან თვითონვე გამოთქვა სურვილი პედაგოგიური კომპონენტის გაძლიერებისა. აღნიშნული კურსდამთავრებული საზღვარგარეთ სწავლობდა მაგისტრატურატურის საფეხურზე და პედაგოგიური კომპონენტის კუთხით მას პრობლემა არ ჰქონია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰყავთ 126 აქტიური სტუდენტი, რომელთა ნაწილი გადიოდა სტაჟირებას, ნაწილი ანაზღაურებად საქმიანობას ეწეოდა, ზოგადად სპეციალობის დასაქმების სპექტრი იყო ძალიან ფართო.

დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პედაგოკიკა არის რეგულირებადი პროფესია, მათ ახალი გავლილი აქვთ აკრედიტაცია 5 წლიან პროგრამაზე და გეგმავენ 1 წლიანი, 60 კრედიტიანი პროგრამის დამატებას, რაც იქნება ერთგვარი ჟესტი სტუდენტების მიმართ, რომ შემდეგ მათ სურვილის შემთხვევაში სწავლა გააგრძელონ მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე. გარდა, ამისა მათ აქვთ თავისუფალი კრედიტები პედაგოგიური მიმართულებით, იმ სტუდენტებისთვის ვისაც სურს უფრო გაიღრმაოს ცოდნა კომპეტენციის მხრივ. მაგალითად აქვთ კურსი „განათლების ფსიქოლოგია“, რაც ეხმარება პედაგოგებს ახალგაზრდებთან ურთიერთობაში.

საბჭოს წევრი, მაკა ლაშხია დაინტერესდა ვინ არის ფილოსოფიის კურსის ლექტორი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კურსს კითხულობს მიხეილ ანთაძე, რომელმაც შეიმუშავა კურსი კინოლოგებისთვის და კურსი აგებული არის ფილოსოფიის საფუძვლების ლიტერატურის ანალიზზე.

საბჭოს წევრმა მაკა ლაშხიამ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ შინაარსობრივად კურსი არ პასუხობს სათაურს, ის არ არის ფილოსოფია.

საბჭოს წევრი, გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა თუ ვინ არის განათლებით ლექტორი.

დაწესებულების წარმომადჰენელმა უპასუხა, რომ ლექტორი გახლავთ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, თუმცა დიდი დროის მანძილზე კითხულობს ფილოსოფიის კურსს.

საბჭოს თავჯდომარემ ურჩია დაწესებულებას, რომ აღნიშნულ შემთხვევაში უმჯობესი იქნება მოხდეს სახელწოდების მოდიფიცირება, რაც არ დაწევს დისციპლინების ხარისხს და გახდება უფრო ადეკვატური
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ განახორციელებდნენ სახელწოდების მოდიფიცირებას და დაამატა, რომ სტუდენტების მხრიდან მათ აქვთ დადებითი შეფასება.

16:33 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 16:53 საათზე

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

რეკომენდაციები:

1. ჩასწორდეს პროგრამის მიზნების ბლოკი;
2. გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია და პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით;
3. პროგრამის შემუშავებასა და დაგეგმვის პროცესში გაძლიერდეს ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობა (დამსაქმებლის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და სხვა.) და პროგრამას დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია;
4. გადაიხედოს და დაიხვეწოს კონცენტრაციის მოდულის სასწავლო კურსების სახელწოდება და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან;
5. ზუსტად განისაზღვროს და/ან დაზუსტდეს კონცენტრაციის მოდულის კურსის „დარგობრივი თარგმანი“ სახელწოდება, მიზნები და შედეგები და ზედმიწევნით შესაბამისობაში იყოს მოყვანილი კურსის შინაარსთან;
6. საჭიროა პროგრამაში ჩართული ყველა და არა ცალკეული პერსონალის პროფესიული განვითარების აქტიური მხარდაჭერა დაწესებულების მხრიდან;
7. პროგრამის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, საჭიროა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწა-გააქტიურება უშუალოდ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში;
8. თვითშეფასების ანგარიშში ასახული საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა მოცემული პროგრამის შეფასების პროცესში არ დასტურდება. შესაბამისად საჭიროა დაზუსტდეს და გამჭვირვალე გახდეს პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მექანიზმები;
9. ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა გაძლიერდეს პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება და შედეგები დადასტურდეს დოკუმენტურად;
10. საბჭოს წევრის მაკა ლაშხიას მოსაზრებით ფილოსოფიის კურსის შინაარსი არ შეესაბამება მის სახელწოდებას. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს ან სახელწოდების მოდიფიცირება ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესორის მოძიება ფილოსოფიის კურსის წასაკითხად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე - 3 და მე - 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის

საგანმანათლებლო პროგრამა - „ინგლისური ფილოლოგია“

საფეხური - ბაკალავრი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში (1005)

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ასევე დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 6 თვე.

საბჭოს რეკომენდაცია:

საბჭოს წევრის მაკა ლაშხიას მოსაზრებით ფილოსოფიის კურსის შინაარსი არ შეესაბამება მის სახელწოდებას. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს ან სახელწოდების მოდიფიცირება ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესორის მოძიება ფილოსოფიის კურსის წასაკითხად.

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა შპს კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო და ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა მომხდარიყო ერთდროულად, ვინაიდან პროგრამები გახლდათ იდენტური, განსხვავება მდგომარეობდა მხოლოდ სწავლების საფეხურში.

2.შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამების მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში 0401
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების" მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერიის მაგისტრი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში 040101
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშებს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების პროექტებზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რათა მას დაეფიქსირებინა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 20-21 მაისს. მისი განმარტებით ჯგუფს გადაეგზავნა მასალა, სადაც პროგრამის დასახელება იყო ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომელსაც ახალი ჩარჩოს მიხედვით შეეცვალა კვალიფიკაცია, შესაბამისად ექსპერტებმა განიხილეს იგი ახალი რეგულაციების შესაბამისად, თუმცა, როდესაც უკვე უნდა ჩაებარებინათ დასკვნა, დაწესებულებამ წარადგინა წერილი სადაც მოითხოვა ძველი კვალიფიკაციით ყოფილიყო შესწავლილი პროგრამა ანუ კვალიფიკაციით - ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში. ამ ყველაფერმა გამოიწვია გარკვეული გაუგებრობები, თუმცა დიდად დასკვნა და რეკომენდაციები არ შეცვლილა. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა აღნიშნული წერილი და განახორციელა პროგრამის ძველი კვალიფიკაციის მიხედვით სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. ექსპერტთა თავმჯდომარის თქმით, ვიზიტის ფარგლებში გაეცნენ სასწავლო პროგრამას, სილაბუსებს, მატერიალურ - ტექნიკურ ბაზას, ჰქონდათ გასაუბრება პედაგოგებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და ა. შ. საბოლოო ჯამში ექსპერტების მიერ ჩამოყალიბდა შემდეგი ტიპის რეკომენდაციები და რჩევები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია საბაკალავრო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ მიზნები ჩამოყალიბდეს ცხადი სახით „სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთან“ მიმართებაში;
- პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის ცხადად ჩამოყალიბდეს მოთხოვნები ინგლისური ენის ცოდნის დონის შესახებ პროგრამის დასაძლევად;
- შემცირდეს დარგობრივი არჩევითი საგნების მოცულობა, რიგი საგნების სავალდებულო საგნების ნუსხაში გადატანის გზით (ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება, ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები II, მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება, I);
- გაიზარდოს დარგობრივი საგნებისათვის საკონტაქტო საათების რაოდენობა;
- ჩასწორდეს სილაბუსები ენობრივად;
- მიეთითოს საგნები, რომლებიც ქართულ და ინგლსიურ ენაზე ისწავლება და აღიწეროს რა შემთხვევაში ხდება საგნის ინგლისურად წაკითხვა.

რჩევები:

- დაწესებულების მიერ შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ახალი დოკუმენტი. სასურველია მეთოდოლოგიაში შეფასების ინდიკატორები ჩამოყალიბდეს და გადაჯგუფდეს თითოეული შედეგის შესაბამისად.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის მიზნები:

1. მიიღოს სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ცოდნა, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.
2. სტუდენტმა მიიღოს მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების ფუნდამენტურ თეორიებსა და პრინციპებზე დაფუძნებული, ინტერდისციპლინარული განათლება, რაც შესაძლებლობას მისცემს მას პროფესიულად განვითარდეს და საკუთარი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში.
3. მოამზადოს მაღალი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ექსპერტის განმარტებით მიზნების აღწერის პირველ პუნქტში არ არის ნათლად ჩამოყალიბებული თუ რომელ სფეროში მიიღებს კურსდამთავრებული ცოდნას, ხოლო მეორე პუნქტში მითითებული არის ინფორმაციული ტექნოლოგიების მომიჯნავე სფერო კომპიუტერული მეცნიერება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია კი არის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხი ინფორმატიკაში, ამიტომ უმჯობესია მითითებული იყოს არა კომპიუტერული მეცნიერება არამედ, ზოგადად ინფორმატიკა. ექსპერტის მოსაზრებით პროგრამის მიზნები ცხადად არ ასახავს იმას, თუ რა ცოდნისა და უნარების გამომუშავებისკენ არი მიმართული პროგრამა. მეორე სტანდარტი მისი თქმით მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, რეკომენდაცია ეხება, სასწავლო პროგრამაში რიგი საგნების ინგლისურად სწავლების შესაძლებლობას და პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტებისთვის ინგლისური ენის ცოდნის დონის მოთხოვნების ჩამოყალიბებას.

ექსპერტის მოსაზრებით, პროგრამის შინაარსი სტრუქტურა მეტწილად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, თუმცა დარგობრივი საგნების არჩევითი ბლოკი არის ძალიან დიდი, 78 კრედიტი, სტუდენტების მიერ სხვადასხვა არჩევანის შემთხვევაში საგნები გარკვეული დოზით უზრუნველყოფს სწავლის თითოეული შედეგის მიღწევას. ექპერტის მოსაზრებით, კრედიტების რაოდენობა საკმარისია, თუმცა სააუდიტორიო საკონტაქტო საათების რაოდენობა არის მცირე, განსაკუთრებით გარკვეული საწყისი დარგობრივი კურსებისათვის, როდესაც სტუდენტი სკოლიდან მკვეთრად განსხვავებული დისციპლინების შესწავლას იწყებს. ექსპერტის განმარტებით, სკოლებში მოდულური უნარებისა და საოფისე პროგრამების გარდა მეტი არაფერი ისწავლებოდა, ამიტომ მიიჩნიეს, რომ მოცემული სასწავლო კურსების გავლა ბოლომდე მიღწევადი არ არის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის ტექნიკის ჩამონათვალში აღწერა არის ნაწილობრივ ქართულად, ნაწილობრივ ინგლისურად, მისი განმარტებით აქ მხოლოდ ტერმინების ინგლისურ ენაზე თარგმნაზე არ არის საუბარი, საუბარი ეხება იმას, რომ რიგი საკითხები შეიძლება ქართულად იყოს ჩამოყალიბებული. პროგრამაში მითითებული არის, რომ რიგი საგნები იკითხება ინგლისურ ენაზე, თუმცა არა არის დაკონკრეტებული რომელ მათგანზე არის საუბარი. ასევე ექსპერტის თქმით, დასახვეწია სტრუქტურაში რიგი საგნების თანმიმდევრობა და წინაპირობები. დარგობრივი საგნების არჩევითობა მცირედ არის წარმოდგენილი, საგანთა უმრავლესობაში სწავლა სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, მაგრამ რიგ შემთხვევაში ჭარბი და არალოგიკური არის და ტოვებს მოდიფიცირების აუცილებლობის შთაბეჭდილებას. ექსპერტის თქმით მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი სრულად შესაბამისობაში არის სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, შოთა ნიჟარაძემ მიზნებთან დაკავშირებით დააზუსტა, რომ მიზნები განსაზღვრულია სამ ნაწილად: პირველი - ზოგადი, რაც ბაკალავრიატის

ცოდნის განსაზღვრას ეხება, მეორე - ცოდნა, რომელიც ეხება პროგრამით გათვალისწინებული მიზნის ჩამოყალიბებას, მათემატიკაზე, ინფორმატიკაზე დაყრდნობით, ფუნდამეტური და თეორიული ცოდნის საფუძველზე, მესამე - ცოდნა, რომელიც არის დარგისთვის აუცილებელი შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული უნარებით, კონკრეტულად ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, განზოგადებულია ბაკალავრიატის მიზანი, შესაბამისად სამი მიზანი კავშირში არის ერთმანეთთან. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, კომპიუტერულ მეცნიერებებზე შესაძლებელი არის მომავალში ემსჯელათ , რადგან ინფორმატიკა და კომპიუტერული მეცნიერებები ახლოს დგანან ერთმანეთთან, ისინი ფიქრობენ აღნიშნული საკითხი განიხილონ საბჭოზე პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად. რაც შეეხება ინგლისურ ენას, პროგრამაში არ არის დაკონკრეტებული, ინგლისური ენის ცოდნის რომელი დონე სჭირდება აპლიკანტს იმისათვის, რომ ჩაირიცხოს პროგრამაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გამომდინარე ეროვნული სასწავლო გეგმიდან საქართველოში ყველა მოსწავლე, რომელიც იღებს ატესტატს ოფიციალურად ფლობს ინგლისურს B1 დონეზე, თუმცა ითვალისწინებენ იმ გარემოებასაც, რომ სათანადოდ არ ხდება საშუალო სკოლებში შესაბამისი დონის ცოდნის გადაცემა. მან აღნიშნა, რომ სტუდენტები სწავლებას იწყებენ B1 დონით, თუმცა იმ კონტიგენტისთვის, რომელიც არც B1 დონეზე ფლობს ინგლისურს, აქვთ შესაძლებლობა ინგლისური ენა გაიარონ პირველ სემესტრში, თუმცა მსგავსი შემთხვევა ბოლო სამი წლის მანძილზე მათ არ ჰქონიათ. ასევე მისი თქმით, პროგრამაში გათვალისწინებულია, რომ სტუდენტი საბოლოოდ მინიმუმ B2 დონეს დაეუფლება.

რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას და მოცულობას, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, თანაფარდობა არ არის ადეკვატური 78 კრედიტიან არჩევით საგნებსა და 92 კრედიტიან სავალდებულო პროფესიულ საგნების შორის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროფესიის დაუფლებას სჭირდება 120 კრედიტი და 92 კრედიტი სავალდებულო საგნების არის დაახლოებით 80%. პროგრამაში არ არის გათვალისწინებული დამატებითი სპეციალობა, ზოგადი საგნების ბლოკი არ არის დიდი და შესაბამისად არჩევითი საგნების გარკვეული ნაწილის სავალდებულო საგნების ბლოკში გადატანას ადგილი არ ჰქონია. სტუდენტებს უფრო მეტად სთავაზობენ პროფესიული არჩევითი კურსებით ცოდნის გაღრმავებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა საკონტაქტო საათებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ პრაქტიკამ, შედეგებმა და მეთოდოლოგიამ ბოლო სამ წელიწადში აჩვენა, რომ საკმარისი არის ზოგიერთ საგანზე დატვირთვა შეადგენდეს 30 საათს, ზოგიერთ შემთხვევაში 36 საათს, ვინაიდან დასაქმების მაჩვენებელმა, სტუდენტების გამოკითხვამ, აკადემიურ პერსონალთან უშუალო კომუნიკაციამ დაადასტურა, რომ საკმარისი არის აღნიშნული საათები და იმ საგნებში სადაც საათების რაოდენობა არ მიიჩნევა საკმარისად დაამატებული იქნება საგნები არჩევითი სტატუსით.

დაწესებულების წარმომადგენელმა სილაბუსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეთანხმებოდნენ ექსპერტს გარკვეულ ენობრივი შეცდომებთან დაკავშირებით, სფერო იყო სპეციფიური და იყო ისეთი ტერმინოლოგიური შეცდომებიც, როგორიც არის „დათაგვა“ და ა. შ აღნიშნული აუცილებლად იქნება შეცვლილი, ტექნიკური შეცდომები კი უკვე ჩასწორებული იყო. ასევე გაითვალისწინებენ იმ რეკომენდაციასაც, რომელიც ეხება იმას, თუ სილაბუსებში რომელი საგანი რომელ ენაზე ისწავლებოდეს და რომელ სემესტრში, მისი თქმით, აღნიშნული პროგრამაში არ იყო მითითებული, სილაბუსებში კი წერია რომ გარკვეული საგნები იკითხება ინგლისურადაც და ქართულადაც. სულ სამი არჩევითი საგანი აქვთ, რომელსაც აუცილებლად შეასწორებენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მესამე რეკომენდაციასთან, დარგობრივი საგნების რაოდენობასთან დაკავშირებით, აღნიშნა რომ ძირითადი საგნები ისწავლება საფუძვლიანად

და შემდეგ პროგრამირების მიმართულებით პროგრამისტისთვის და ქსელის სპეციალისტისთვის საგნები არის არჩევითი. მაგალითად, ალგორითმების მეორე ნაწილი, რომელიც აბსოლუტურად საკმარისი არის იმისათვის, რომ პროგრამისტი მივიდეს სტაჟირებაზე და დაიწყოს მუშაობა, ანუ რეალურად სპეციფიური საგნები გადადის არჩევით საგნებში. სტუდენტს პირველ კურსზე სჭირდება უფრო მეტი საკონტაქტო საათები, აღნიშნულიდან გამომდინარე, ასწავლიან პროგრამირება 1 და პროგრამირება 2 -ს. აღინიშნა, რომ ექსპერტები შეხვედნენ სტუდენტებს, რომელთაც პრეტენზია არ გამოუხატავთ საკონტაქტო საათებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს ჰქონდათ პრეტენზია პროგრამირების საფუძვლების სწავლაზე, აღინიშნა, რომ არ ჰყოფნიდათ საკონტაქტო საათები, რეალურად საკონტაქტო, სააუდიტორიო საათი შეადგენს 26 სთ.

დაწესებულების დარმომადგენელმა განუმარტა ექსპერტს, რომ პროგრამირება 1 და პროგრამირება 2 ჯამში მოიცავს 58 საათს, ორივე გახლავთ სავალდებულო საგანი, რომლებშიც ზუსტად სტუდენტის მოთხოვნით იყო გაზრდილი საათების რაოდენობა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამირებას სასურველი არის ჰქონდეს უფრო მეტი საკონტაქტო საათი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ალგორითმულ ენა "Csharp" - თან დაკავშირებით განაცხადა, რომ გააკეთებულია „java" დაპროგრამების კურსი, იმისათვის, რომ არ იყოს სემესტრი გადატვირთული, სილაბუსი გადანაწილებულია და პროგრამირების მიმართულებით დამატებულია საკონტაქტო საათებთან დაკავშირებით მეორე ნაწილი. პროგრამის შედეგებთან მიმართებით კი აღნიშნა, რომ მათი სტუდენტები მონაწილეობენ ჩემპიონატებში, მისი თქმით, 4 სტუდენტი გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში, ორი - ფინალში. სწავლების კუთხით აღინიშნა, რომ არცისე რთული არის სწავლა, რადგან მე-7 მე-8 კლასებში სკოლებში უკვე ისწავლებოდა პროგრამირება. ასევე აღინიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს შექმნილი აქვს სახელმძღვანელო და მეთოდოლოგიაც, კვალიფიკაციაც იძლევა იმის საშუალებას, რომ წარმატებული სტუდენტები გაზარდონ. დასაქმების მაჩვენებელთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასაქმების მაჩვენებელი კურსდამთავრებულებში არის 98% აქედან 65% დასაქმებულია პროფესიით, უფრო მაღალი მაჩვენებელი კი აქცვთ მეოთხე კურსის სტუდენტებში.

საბჭოს თავჯდომარე, სწავლის სირთულესთან დაკავშირებით დაინტერესდა თუ რატომ არის კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებლი ბოლო წელს ფრიადი და ძალიან კარგი 0%, ხოლო დამაკმაყოფილებელი 67%.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნულ მიზეზს აქვს ორი განმსაზღვრელი ფაქტორი, პირველი ის, რომ სტატისტიკაზე ძნელია საუბარი, როდესაც 40 სტუდენტიდან მხოლოდ 6-მა დაამთავრა და მეორე მიზეზი გახლავთ ის, რომ სტუდენტები პარალელურად მუშაობენ, და შესაბამისად სახეზე არის დროის სიმცირეც.

საბჭოს წევრი, სერგო ჭელიძე გამოეხმაურა ექსპერტების რჩევას სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, დაინტერესდა და ნახა, რომ მოცემულია 48 არჩევითი სასწავლო კურსი, რაც მისი მოსაზრებით საკმაოდ ბევრია და ცუდი არ იქნებოდა მათი ნაწილი სავალდებულო კურსის სახით იყოს წარმოდგენილი. თვალშისაცემი არის ის გარემოება, რომ სავალდებულო კურსი მოიცავს 5 კრედიტს, მაშინ, როდესაც არჩევითი კურს მინიჭებული აქვს 6 კრედიტი, უმჯობესი იქნება თუ კი კრედიტების გადანაწილება წარმოდგენილი იქნება პირიქით. გარდა ამისა, სასწავლო კურსის „ელექტრონიკა" სილაბუსში მოცემული იყო რუსული წყარო, სტუდენტები კი რუსულ ენას არ სწავლობენ. (Электроника - практический

курс - Джонс М.Х. 2006). მისი მოსაზრებით საკონტაქტო საათების რაოდენობა 20-21 საათი არის ცოტა ერთი სემესტრის განმავლობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ გამიჯნული აქვთ პრაქტიკული და სალექციო საკონტაქტო საათები.

საბჭოს წევრმა, სერგო წელიძემ „ბლოკჩეინ ტექნოლოგიების" და „კრიპტოვალუტის კურსზე" განაცხადა, რომ საკონტაქტო, სალექციო საათები არის მხოლოდ 22 საათი. 4 საათი - სემინარი; 4 საათი - შუალებური და 120 საათი დამოუკიდებელი მუშაობა, შესაბამისად ეთანხმება ექსპერტებს, იმის თაობაზე რომ უნდა გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა ცალკეულ კურსებში და ზოგიერთი კურსი სავალდებულო სახით იყოს წარმოდგენილი პროგრამაში. ასევე კურსები, მაგალითად, „კომპიუტერული უსაფრთხოება" იყო 5 კრედიტიანი, ხოლო არჩევითი კურსი, „საქართველოს ისტორია" 6 კრედიტი, კონკრეტული პროგრამის მიზნებისთვის კი უმჯობესია გაანგარიშება კრედიტებისა იყოს პირიქით, რადგან სტუდენტს უფრო მეტად სჭირდება „ელექტრონიკა და ოპერაციული სისტემები" ვიდრე საქართველოს ისტორის, სოციოლოგიის ან პოლიტოლოგიის კურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ელექტრონიკის კურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ლიტერატურასთან მიმართებით ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, რაც აუცილებლად იქნებოდა გამოსწორებული. თუმცა აღნიშნა, რომ ელექტრონიკასთან დაკავშირებით ნორმალური ლიტერატურა არ არსებობდა ქართულ ენაზე.

საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ ინფორმაციულ ტექნოლოგიებში რუსული სკოლა საკმაოდ ძლიერი არის მსოფლიოში და კარგი იქნება თუ დაწესებულება თარგმნიდა რუსი მეცნიერების ლიტერატურას, რაც მისი აზრით პროტესტს არ გამოიწვევს. ასევე შესაძლებელი არის კურსს დაშვების წინაპირობად განესაზღვროს რუსული ენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა კრედიტებთან მიმართებით აღნიშნა, რომ კრედიტები არის საუნივერსიტეტო და გათვლისწინებული არის მინისტრის მე - 3 ბრძანების საფუძველზე. მათ შეეძლიათ გადახედონ რეკომენდაციას არჩევითიდან სავალდებულოში კურსების გადატანასტან დაკავშირებით, ვინაიდან საუნივერსიტეტო კრედიტებს ვერ შეცვლიან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს ესაუბრა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- აუცილებელია მკვეთრად განისაზღვროს გასაუბრების ფორმა და საკითხების ნუსხა რასაც ის მოიცავდა;
- რეკომენდირებულია ჩასწორდეს სილაბუსები ენობრივად;
- რეკომენდირებულია მიეთითოს საგნები, რომლებიც ქართულ და ინგლისურ ენაზე ისწავლება და აღწერილი იყოს თუ რა შემთხვევაში ხდება საგნის ინგლისურად წაკითხვა.

რჩევები:

- დაწესებულების მიერ შემუშავებული არის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ახალი დოკუმენტი. სასურველია მეთოდოლოგიაში შეფასების ინდიკატორები ჩამოყალიბდეს და გადაჯგუფდეს თითოეული შედეგის შესაბამისად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პრობლემა კვალიფიკაციებთან დაკავშირებით სამაგისტრო პროგრამაზეც იყო ანალოგიური, თუმცა საბოლოო ჯამში პროგრამა განხილული იქნა ძველი კვალიფიკაციით. რაც შეეხება პროგრამას, პირველი სტანდარტის მიხედვით სრულად

შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები შესაბამისობაში არის უნივერსიტეტის მისიასთან. ექსპერტთა ჯგუფს, მეორე სტანდარტთან მიმართებით აქვს გარკვეული შენიშვნები, პროგრამაში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული რა იგულისხმება კავკასიის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდა გასაუბრების ქვეშ, რა ტიპის გასაუბრება ტარდება, რა არის პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რა ტიპის ცოდნის შემოწმება ხდება, ექსპერტებმა ვერ აღმოაჩინეს მსგავსი სახის ინფორმაცია ვერც პროგრამაში და ვერც ვებ გვერდზე. ზოგიერთი კურსის ჩამონათვალში მსგავსად საბაკალავრო პროგრამისა ჩასასწორებელი არის სილაბუსები, რადგან არეული არის ქართული და ინგლისური ენა. პროგრამაში მითითებული არის, რომ რიგი საგნები იკითხება ინგლისურ ენაზე, ზოგი ქართულ ენაზე. რაც შეეხებოდა მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტს ექსპერტის თქმით ისინი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. აუცილებელია მკვეთრად იყოს განსაზღვრული საკითხების ნუსხა, თუ რას მოიცავს შიდა გასაუბრება; ჩასწორდეს სილაბუსები ენობრივად და კურსებში მიეთითოს, რომელ ენაზე ისწავლება ესა თუ ის კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა კვალიფიკაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ უნდოდათ ახალი ჩარჩოს მიხედვით ყოფილიყო კვალიფიკაცია წარმოდგენილი, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ახალი კვალიფიკაციის კოდის მისადაგება მოქმედი პროგრამისათვის ცვლიდა მისს სტატუსს და პროგრამას მიენიჭებოდა აკრედიტაცია 4 წლით ახალი პროგრამის სტატუსით. რაც შეეხება რეკომენდაციებს, გასაუბრების ფორმასთან დაკავშირებით, მისი განმარტებით საუბარი არის მისაღებ გამოცდებზე, რაზეც ინფორმაცია უკვე განთავსებულია ვებ - გვერდზე. სილაბუსების ენობრივად ჩასწორებასთან დაკავშირებით მათ ტერმინოლოგია დააკორექტირეს ქართულ ენაზე, ხოლო რაც შეეხება კურსებს, თუ რომელ ენაზე ისწავლებოდა, მისი განმარტებით, ქართულ და ინგლისურ ენაზეც შეთავაზებული არის ერთი არჩევითი საგანი, რომელიც გათვალისწინებული არის პაკეტში ორივე ენაზე, შესაბამისად ისინი აღნიშნული კურსის სახელებსაც ჩაწერენ სილაბუსში.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის შესავალ ნაწილში საუბარი არის იმაზე, რომ კვლევითი კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს, 30 კრედიტი ენიჭება სამეცნიერო ნაშრომს, თუმცა სასწავლო გეგმაში მითითებულია 18 კრედიტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული იყო ტექნიკური შეცდომა და რაოდენობა კრედიტების შეადგენს 30 კრედიტს.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ პრაქტიკაზე ორიენტირებული საგნების კრედიტების მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს, მას აინტერესებდა თუ რომელ საგნებზე იყო საუბარი და ჰკითხა ექსპერტს, ხომ არ ჰქონია საბაკალავრო და სამაგისტრო საგნების ურთიერთგადაფარვას ადგილი.

ექსპერტმა უპასუხა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის საგნები არის განსხვავებული, თუნდაც იმიტომ, რომ პროგრამები არის სხვადასხვა ორიენტაციის, საბაკალავრო ეხება ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ხოლო სამაგისტრო პროგრამაში საუბარი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე მენეჯმენტში, შესაბამისად მისი განმარტებით პროგრამები შინაარსობრივად განსხვავებულია. პრაქტიკაზე ორიენტირებული არის დარგობრივი საგნებიც, რითაც სტუდენტებიც კმაყოფილები იყვნენ, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრების დროს.

17:44 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:52 საათზე.

საკითხი 2

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე შპს კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვიის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10
მოწინააღმდეგე-0

საბჭოს რეკომენდაცია:

- ვინაიდან საბჭოს წევრის სერგო ჭელიძე წააწყდა რუსულ წყაროს „ელექტრონიკის" სილაბუსში, სტუდენტები კი რუსულ ენას არ სწავლობდნენ (Электроника - практический курс - Джонс М.Х. 2006) რეკომენდირებული არის ან დაშვების წინაპირობის შეცვლა აღნიშნულ კურსზე ან ლიტერატურის ჩანაცვლება. საბჭოს თავჯდომარემ დაამატა, რომ კარგი იქნება უნივერსიტეტს ითარგმნოს რუსი მეცნიერების ლიტერატურა, რომელიც ერთ - ერთი ძლიერი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით.

გადაწყვეტილება:
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3[1] პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის:
საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციული ტექნოლოგიები"
საფეხური - ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში (0401)

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ასევე დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 6 თვე.

საკითხი 3

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს რჩევა:

როგორც საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძე აღნიშნა, პროგრამის შესავალ ნაწილში საუბარი არის იმაზე, რომ კვლევითი კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს, 30 კრედიტი აქვს განსაზღვრული სამეცნიერო ნაშრომს, თუმცა სასწავლო გეგმაში მითითებული არის 18 კრედიტი, სასურველია ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3[1] პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის:
საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი"
საფეხური - მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ინჟინერიის მაგისტრი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში 040101 მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ასევე დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 6 თვე.

4.შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საჯარო მმართველობის ბაკალავრი 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რათა მას დაეფიქსირებინა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტში განხორციელდა 4 ივნისს, ვიზიტამდე ჯგუფი გაეცნო პროგრამას და პროგრამასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. მათი მოსაზრებით, დაწესებულებაში არსებულმა გუნდმა შექმნა მდგრადი პროგრამა. ექსპერტებს არ ჰქონდათ რეკომენდაციები, დასკვნაში მათ მიერ ასახული იყო მხოლოდ რჩევები, რომლებიც დაწესებულების წარმომადგენლებისთვის არის მისაღები და გეგმავენ სამომავლოდ მათ გათვალისწინებას.

რჩევები:

- პროგრამაში სამიზნე ნიშნულები სწავლის თითოეული შედეგისათვის წარმოდგენილი არის ნარატივის სახით (დამტკიცებული არის შპს საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით №20/18). სასურველია დოკუმენტი გაიწეროს უფრო დეტალურად სადაც სწავლის შედეგების შეფასება წარმოდგენილი იქნება პროგრამის მიმდინარეობისას, ვადების გათვალისწინებით, იმისათვის რომ უფრო ნათლად იყოს წარმოდგენილი თუ როგორ მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი;
- უპრიანი იქნება ძირითადი საგნები პროცენტულად უფრო დაბალანსებული იყოს იმ რეალობიდან გამომდინარე რა მოთხოვნებიც არსებობს შრომის ბაზარაზე. კერძოდ, სამართლის მიმართულება უნდა იყოს უფრო მეტად წარმომადგენლობითი. მაგალითად ისეთი საგნებით, როგორც არის: ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულება;
- კარგი იქნება წარმოდგენილი იყო სოციალური პოლიტიკის მიმართულებით, რომელიც არც არჩევით და არც ძირითად საგანთა ბლოკში არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, კარგი იქნება თუ კი ისეთი საგნები როგორიც არის სოციოლოგია, სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვის და განათლების პოლიტიკა;
- მენეჯმენტის მიმართულებით მნიშვნელოვანი საგანი არის სტრატეგიული მენეჯმენტი, რაც საჯარო მოხელეებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს;
- იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რასაც თავად დაწესებულება მიუთითებს, რომ პროგრამა მოიცავს საჯარო ადმინისტრირების სამივე განზომილებას - მენეჯერულ, სამართლებრივ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ასპექტებს, ფოკუსირებული არის საჯარო მმართველობის მენეჯერულ კონტექსტზე და ყურადღება ეთმობა საქართველოში უახლეს და მიმდინარე პოლიტიკურ-ადმინისტრტაციულ რეალობას, რეფორმებს, შესაბამისი გამოწვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აღნიშნული სამი მიმართულება თანაბრად უნდა იყოს წარმოდგენილი პროგრამაში;
- აღსანიშნავია, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამა არის საბაკალავრო და კვლევითი უნარები ნაკლებად არის წარმოდგენილი (რაც უფრო მეტად სამაგისტრო პროგრამისათვის არის განკუთვნილი), ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით კვლევითი მიმართულების სამ საგნად (18 კრედიტად) წარმოდგენას აჯობებს სამართლის, მენეჯმენტის ან/და სოციალური მიმართულების საკითხები გაძლიერდეს;

- 2015-2018 წლამდე უნივერსიტეტში ჩატარებული არის 35 ღონისძიება საჯარო მიმართულების კუთხით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კარგი იქნება თუ ეს რაოდენობა გაიზრდება, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტების განვითარებას;
- პროგრამის მდგრადობისათვის სასურველია, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდეს აკადემიური პერსონალის მოზიდვის მიზნით, რათა პროგრამა გაძლიერდეს საკუთრივ საჯარო სექტორში არსებული აკადემიური პერსონალითა და პრაქტიკოსი პედაგოგებით.

ექსპერტის მოსაზრებით, სასურველი არის სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის გაძლიერება; აკადემიური პერსონალის დარგის სპეციალობის გაძლიერება, რაც გახლავთ მომავლის საკითხი. რჩევა ეხება საგნების პროცენტულ გადანაწილებას, იმ კუთხით, რომ პროგრამის ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შიდა ბაზრის ერთ სეგმენტზე, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებზე; მისი თქმით საუბარი არის ასევე, საჯარო სექტორიდან მოქმედი პრაქტიკოსების მოწვევაზე და მათ ჩართვაზე პროგრამის განხორციელების პროცესში. საგნების გადანაწილებასთან დაკავშირებით, ექსპერტის თქმით, მულტიდისციპლინური პროგრამა ძირითადად სამი მიმართულებით არის დაშლილი: მენეჯმენტი, სამართალი და პოლიტიკურ- ეკონომიკური მიმართულება. მათი რჩევა არის, რომ ისეთი საგნების, როგორიც არის სტრატეგიული მენეჯმენტი ან სამართლის მიმართულებით ადგილობრივი თვითმართველობა - მათ მიმართ უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს, თუმცა დაწესებულებიდან მიიღეს პასუხი, რომ სამომავლოდ აპირებდნენ აპირებდნენ კონცენტრაციების გაკეთებას რაც გააძლიერებდა მიმართულებას. სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძალიან საინტერესოდ არის გადაწყვეტილი თუ როგორ მოხდება სწავლის შედეგების შემოწმება, კონკრეტულად გამოყენებული აქვთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პრაქტიკა სტუდენტთა შეფასების თვალსაზრისით, პროცენტულად არის გადანაწილებული შუალედური და საბოლოო შეფასების მექანიზმები. ექსპერტის თქმით, კარგი იქნება თუ აღნიშნული მიდგომა უფრო დეტალურად გაიწერება. ექსპერტმა აღნიშნა კარგი გამოცდილება, მისი თქმით, მათ მოეწონათ ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში მისვლის გარეშე ონლაინ სახელმძღვანელოების მოძიება, გადმოწერა და გამოყენება, რაც ბევრ უნივერსიტეტს არ აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით იზიარებენ რჩევებს და უკვე დაწყებული აქვთ სამიზნე ნიშნულებზე მუშაობა, არიან პროცესში და სამიზნე ნიშნულების დადგენა მალე მოხდება.

საბჭოს თავჯდომარე დაინტერესდა სამეწარმეო სამართალს რა კონტექსტში ასწავლიდნენ საჯარო მართვის სტუდენტს და რაში შეიძლებოდა ამ დარგის სტუდენტს გამოეყენებინა აღნიშნული ცოდნა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საჯარო მმართველობის პროგრამა მიზნად ისახავს ფართო პროფილის საჯარო მოხელის გაზრდას, რომელიც ძალიან კარგად შეძლებს ანალიზს და გადაწყვეტილების მიღებას. მისი განმარტებით, საჯარო და კერძო სექტორთან თანამშრომლობისთვის და ადეკვატურად დეცენტრალიზაციისთვის მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტს ჰქონდეს სწორი აღქმა რას აკეთებს, კერძო - სამოქალაქო და საჯარო სექტორში. აღნიშნულიდან გამომდინარე ისინი განიხილავენ სამეწარმეო სამართალს მოცემულ კონტექსტში ერთ - ერთ მთავარ საგნად, რაც სტუდენტს მიცემს საშუალებას კარგად დაალაგოს, შეაფასოს და თუ რაიმეს გადანაწილება იქნება შესაძლებელი, კერძო სექტორზე ადეკვატურად გადაანაწილოს კერძო სექტორზე და გააკეთოს შესაბამისი ანალიზი. მისი თქმით, ხშირი არის ისეთი სპეციალისტები, რომლებიც საერთოდ არ აღიქვამენ კერძო

სექტორს, ბოლო გამოკვლევებითაც დგინდება, რომ როდესაც, მაგალითად კერძო დეტექტივს მიაბარეს საქმე გამოძიება ბევრად ეფექტიანი აღმოჩნდა, ვიდრე საჯაროს შემთხვევაში.

საბჭოს წევრი სერგო ჭელიძე დაინტერესდა, რა იყო იმის მიზეზი, რომ თვითშეფასების კითხვარში არის მოცემული, გარე მობილობით პროგრამიდან სტუდენტების გადასვლის მაჩვენებლის ზრდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მაღალი დენადობა დაწესებულებიდან გამოიხატება განსაკუთრებით პირველი კურსის დასრულების შემდეგ, რისი ძირითადი მიზეზებიც არის აკადემიური დაუსწრებლობა, მოთხოვნის მაღალი დონე, ასევე ფინანსური მიზეზიც, თუმცა აღნიშნული ბოლო წლებში ნაკლებად ფიქსირდება, რადგან დაწესებულებამ სწავლის საფასური გადაანაწილა 10 ნაწილად და არსებობს სოციალურ საქმეთა კომისიაც, რომელიც განიხილავს სტუდენტის საქმეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ აქვთ ისეთი სისტემა, როგორც ეროვნულ გამოცდაზე, გამოცდებს სასწავლო ოფისი განაგებდა: ნაწერების ადმინისტრირება, დასკანერება, შეყვანა კოდების მიხედვით და შემდეგ შემოწმება, შესაბამისად მათ ჰყავთ ბევრი დამხმარე პერსონალი. გარდა ამისა, ხდება ვიდეო კამერებით კონტროლი.

18:09 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა: 18:15 საათზე

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის:

საგანმანათლებლო პროგრამა - საჯარო მმართველობა

საფეხური - ბაკალავრი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საჯარო მმართველობის ბაკალავრი 0413

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

5.შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ეკონომიკაში 0701
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რათა მას დაეფიქსირებინა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია სტუდენტური პრაქტიკის პროგრამის სავალდებულო ნაწილში გადმოტანა;
- მიზანშეწონილია გადაიხედოს სასწავლო კურსების შეფასება/შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნული უნდა გამომდინარეობდეს სასწავლო კურსის შინაარსიდან და შედეგებიდან და მიმართული უნდა იყოს თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების უზრუნველმყოფელ სამუშაოებზე;
- შეფასების სისტემის უფრო მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი იყოს ქვიზური ტიპის დავალებების სახეობა და შეფასების კრიტერიუმები;
- მიზანშეწონილია, რომ პროგრამის ძირითადი მაპროფილებელი დისციპლინები წარმართოს აკადემიურმა პერსონალმა და არა მოწვეულმა პერსონალმა, აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
- პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები დაქვემდებარებული უნდა იყოს პრინციპზე - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". მიზანშეწონილი არის ჩატარებული კვლევების შედეგებიდან

გამომდინარე გაწერილი იყოს კონკრეტული სამოქმედო გეგმა პროგრამის განვითარებისათვის. პროგრამის ეფექტიანი მონიტორინგი შესაძლებელი არის მაშინ, როდესაც არსებობს წინასწარ გაწერილი გეგმა და სამიზნე ნიშნულები. აღნიშნული უფრო სტრუქტურიზებულს გახდის პროგრამის მონიტორინგს, მის პერიოდულ შემოწმებას და შემდგომ განვითარებას.

რჩევები:

- მიზანშეწონილა გაუმჯობესებული იყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლების (საოფისე და სპეციალური პროგრამების) სწავლების შედეგები სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების და სასემინარო საათების გაზრდის საშუალებით;
- პროგრამის აღწერილობაში სასურველია მოცემული იყოს დასაქმების პოტენციური სფეროები;
- სასურველია გაკეთდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების და უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე გაგრძელების მაჩვენებლთა სტატისტიკური ანალიზი;
- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაწესებული იყოს ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება მათემატიკაში (არჩევითი საგანი);
- სასურველია ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული იყოს საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასურველია სილაბუსებში მითითებული მოძველებული სახელმძღვანელოების ახალი გამოცემებით შეცვლა;
- სასურველი მონაცემთა დამუშავება და პერიოდული ანგარიშების გამოქვეყნება სტუდენტთა სტაჟირების შესახებ;
- შეფასების თითოეულ კომპონენტში (მაგალითად, შუალედური და დასკვნითი გამოცდა) სასურველია მითითებული იყოს შესასრულებელ დავალებათა ოდენობა;
- სასურველია სტუდენტს მიეწოდოს კონკრეტული განრიგი აკადემიურ პერსონალთან კონსულტირების შესაძლებლობის შესახებ;
- სასურველია ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს მუხლების მიხედვით (მაგალითად, საბიბლიოთეკო ფონდის განახლება; კონფერენციებში მონაწილეობა; ინვენტარის შეძენა და სხვა) და მოხდეს მისი სისტემატური კონტროლი (ფაქტიური შედეგების შედარება დაგეგმილთან);
- სასურველია გარე ექსპერტ-შემფასებლების (ადგილობრივი თუ საერთაშორისო) ჩართვა პროგრამის შეფასების პროცესში სამომავლოდ პროგრამის სრულყოფის უზრუნველსაყოფად;
- სასურველია სტუდენტთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა წარმომადგენლის ჩართვა თვითშეფასების ჯგუფსა და პროგრამის განვითარების საბჭოში.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტის განმავლობაში შეხვდნენ აკადემიურ პერსონალს, გაესაუბრნენ სტუდენტებს, დამსაქმებელთა წარმომადგენლებს, მოწვეულ ლექტორებს და მათ მიერ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რომელიც ეყრდნობოდა აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს, ჩაატარეს ინტერვიუ და მის საფუძველზე შეიმუშავეს დასკვნა. ექსპერტის თქმით, პროგრამა აკრედიტაციის 5 სტანდარტიდან 4 - ში სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, მხოლოდ მე - 2 სტანდარტი არის მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნისა.

საბჭოს თავჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის თანახელმძღვანელმა გიორგი დოლიძემ, პროგრამის სავალდებულო ნაწილში სტუდენტური პრაქტიკის გადატანასთან დაკავშირებელ რეკომენდაციაზე, აღნიშნა, რომ პროგრამა იყო აკრედიტებული 5 წლის წინ, როდესაც არ

ჰქონდათ პრაქტიკის საგანი სავალდებულო მოთხოვნად გათვალისწინებული, ის საერთო იყო ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების პროგრამისათვის და ერქვა სტაჟირება ეკონომიკასა და ბიზნესში. მისი განმარტებით, რეაკრედიტაციის მომზადების პროცესში ეს საგანი არ ჩაითვალა სავალდებულო კურსად, დაიხვეწა პროცედურები, აწეული იყო სტანდარტი, თუმცა სამომავლოდ შესაძლებელია აღნიშნული კურსი განიხილონ სავალდებულო კურსის სახითაც. მისი თქმით, არსებობს რამდენიმე გარემოება: ერთი ის, რომ სავალდებულო ნაწილში აღნიშნული კურსის გადატანა ნიშნავს კურსში სტაჟირების მიწოდებას, რაზეც ჰქონდათ კომუნიკაცია ყველა პოტენციურ დამსაქმებელთან, რომლებიც გამოხატავდნენ მზაობას, თუმცა ვერ იძლეოდნენ გარანტიას, რომ ყველა სტუდენტს გაატარებდნენ სტაჟირებას ან დაასაქმებდნენ. ასევე აღინიშნა, რომ დატვირთვა გაიზარდა 6 დან - 12 კრედიტამდე, ეკონომიკის პროგრამის სტრუქტურა განსხვავებული იყო ბიზნესის პროგრამისგან, სადაც ძველ პროგრამაში იყო პრაქტიკული დისციპლინა და უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა პრაქტიკა, ხოლო ეკონომიკის მიმართულებით შესაძლებელია სტუდენტს საერთოდ არ ჰქონოდა განზრახული დასაქმება საბაკალავრო საფეხურის დასრულების შემდეგ, მას შესაძლებელი იყო მოესურვა გამოეყენებინა 12 კრედიტი თეორიული ცოდნის შესაძენად. შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენელს მიაჩნია, რომ არ არის საჭირო სტუდენტის დავალდებულება აუცილებლად გაიაროს პრაქტიკა.

რაც შეეხება შეფასების კრიტერიუმების გადახედვას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდნენ ექსპერტებს, იმ ნაწილში, რომ დებულების არსებობა არის მართებული, თუმცა დაწესებულებაში დებულებით გათვალისწინებული პროცედურები სრულდება და რაიმე ცვლილებას არ საჭიროებს, ყველა კურსში იყო უნიკალური შეფასება, შეფასების კრიტერიუმი, მაგრამ ასევე აქვთ საკმაოდ ბევრი შაბლონი, იმის მიხედვით, რა ტიპის საგანი და რა ტიპის დისციპლინას აფასებდნენ. მაგალითად, საწყისი კურსების საგნებში მიკრო, მაკრო ეკონომიკაში, პირველად წარმოდგენილი არის ქვიზები, რომლებიც 5 ქულით ფასდება, ასევე მაღალი კურსის საგნებში - კვირაში ერთხელ ტარდება გამოკითხვა, მეთოდებიც მრავალფეროვანი არის, შესაძლებელია იყოს საშინაო, ჯგუფური პროექტი, უცხო ენებში - ფინალური გამოცდა ზეპირი და წერითი, მათემატიკის საგნებში - სემესტრული ნაშრომი, სადაც რეფერატის მაგივრად სტუდენტს ეძლევა დავალება და გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან დაწესებბულების წარმომადგენლის მოსაზრებით მრავალფეროვნება ნამდვილად არსებობს დამაკმაყოფილებელი შეფასების ტიპებისა და კრიტერიუმების თვალსაზრისით, თუმცა შეფასების სისტემის სამომავლო სრულყოფაზე იმუშავებდნენ.

მესამე რეკომენდაციასთან, შეფასების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელი პრინციპულად არ ეთანხმება ექსპერტებს, თუნდაც იმ საგნებში სადაც რამდენიმე ლექტორი კითხულობს ერთ საგანს ფინალური და შუალედური გამოცდა ტარდება ერთად, საგნის კურატორი უზრუნველყოფს საგამოცდო ვარიანტების შედგენას, მუშაობა ხორციელდება ერთი მიმართულებით, მაგრამ ქვიზები, პერიოდული გამოკითხვები კვირაში ერთხელ ინდივიდუალურად ლექტორის დისკრეციას წარმოადგენს და მას აქვს აკადემიური თავისუფლება, რომ განსაზღვროს თუ რა ფორმით შეაფასებს სტუდენტს. დაწესებულების წარმომადგენელი არ თვლის საჭიროდ სილაბუსით შეზღუდონ ლექტორების აღნიშნული უფლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის თანაფარდობა შეესაბამება სტუდენტების რაოდენობას სტანდარტის მიხედვით, პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია. რაც შეეხებოდა ძირითად მაპროფირებელ საგნებს ნაწილი კურსდამთვარებულებისა არიან მათი უნივერსიტეტის პროფესორები, აკადემიური პერსონალი, ნაწილი მოწვეული პერსონალი, აქვთ ყველას რეზიუმე, მათ გააჩნიათ უმაღლესი კვალიფიკაცია თავიანთ დარგში, დიდი პრაქტიკული გამოცდილება და ამ მხრივ პრობლემას ვერ ხედავენ. უფრო მეტიც, ბოლო დროინდელი ტენდეცია მიმართულია სტუდენტების შემცირებისკენ, ფიქსირდება მაღალი დენადობა და რადიკალურად შეამცირეს ადგილების

რაოდენობა, შესაბამისად პროგრამის უფრო მოქნილობისთვის და მდგრადობისთვის მიაჩნიათ, რომ სწავლების კუთხით შერეული მოდელი მოწვეული და აკადემიური პერსონალის, სწორედაც, რომ უკეთესი იქნება ყველასათვის. თუმცა მიუხედავად ყველაფრისა დაწესებულება მზად არის ნაწილობრივ გაითვალისწინოს რეკომენდაცია, მუდმივად ხდება აკადემიური პერსონალის დამატების საკითხის განხილვა, რაც უფრო მეტად გააღრმავებს სამეცნიერო კვლევით მუშაობას.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციას, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმისა და პრინციპების სამოქმედო გეგმისა და სამიზნე ნიშნულების გაწერასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია მისაღებია და პროგრამის რეაკრედიტაციის მომზადების პროცესში ჩატარდა მთელი რიგი კვლევები, დაიდო დასკვნები, შევიდა შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში, დაგროვდა მასალის დიდი რაოდენობა და ისინი საშუალო და გრძელვადიანი გეგმის სახით ყველაფერს თავს მოუყრიან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დაამატა, რომ გარე თუ შიდა შეფასებასთან დაკავშირებით დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის ინსტიტუცია, სადაც დეტალურად არის გაწერილი კონკრეტული აქტივობები. შესაბამისად დიდი ხნის მანძილზე არსებობს აღნიშნული დოკუმენტი და ამ დოკუმენტის საფუძველზე ხდება ნებისმიერი პროგრამის ინიცირება, მათში ცვლილებების განხორციელება.

საბჭოს წევრს, თეა მჭედლურს სურდა დაეზუსტებინა ქვიზებთან დაკავშირებით, ლექტორთა ჯგუფები იყოფოდა პრაქტიკულ და თეორიულ სწავლებად თუ არა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ლექციას და სემინარს სხვადასხვა ლექტორი ატარებდს, მაგალითად, ბიზნესის სტუდენტს მიკრო ეკონომიკაში ჰყავსა 5 სხვადასხვა ლექტორი, რომლებსაც ყველას აქვთ კურატორის მიერ შემუშავებული ერთი სილაბუსი. ქვიზი გახლავთ გამოკითხვა და რა ფორმით განხორციელდება გამოკითხვა ჩამონათვალიდან ირჩევს თვითონ ლექტორი. სტუდენტმა იცის და სილაბუსით გაწერილი არის, მაგალითად წერითი გამოკითხვის დროს რა ტიპის კითხვები შეხვდება, ქვიზის შემთხვევაში კი ეს არ არის ჩაშლილი. ისინი არ თვლიან საჭიროდ დააკონკრეტონ აღნიშნული საკითხი ლექტორებთან, არ ერევიან მათ პრეროგატივაში. სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია ზოგადი სახით თუ რა სახის გამოკითხვა ჩატარდებოდა, თუმცა რა ტიპის კითხვები იქნება ეს არ არის ჩაშლილი სილაბუსებში.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით, ის მხარს უჭერს ექსპერტებს, იმიტომ რომ პრაქტიკული უნარ-ჩვევები გარკვეული დოზით სავალდებულო უნდა იყოს. შემდგომში მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება კი არ არის მიზეზი მისი არჩევითი კურსის სახით წარმოსადგენად.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ გამოწვევას წარმოადგენს მოამზადონ სოციალური მეცნიერების მიმართულებით კარგი ეკონომისტები. საქართველოში ეკონომიკის თვალსაზრისით სტაჟირება და დასაქმება არის ძალიან რთული, მათი პოტენციური დამსაქმებელი მხოლოდ ეროვნული ბანკი გახლავთ, ფინანსთა სამინისტროში და ეკონომიკის სამინისტროში კი უფრო მეტი იურისტი და აუდიტორი სჭირდებათ. თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა დაწესებულება კვლევით დეპარტამენტთან ერთად განიხილავა აღნიშნული კურსის სავალდებულო კურსად გადატანას, როდესაც სტაჟირება მაღალი დონის სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

ექსპერტი არ დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას და განაცხადა, რომ პროგრამა არ არის სოციალური კვლევებისა და სოციალური მეცნიერების მოსამზადებელი პროგრამა. საბაკალავრო პროგრამა მისი თქმით, საჭირო არის იმისთვის, რომ ფართო პროფილის პრაქტიკული ეკონომისტი მოამზადონ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თავად გახლავთ ეროვნული

ბანკის ვიცე პრეზიდენტი 14 წლის განმავლობაში და მიესალმება უნივერსიტეტიდან სტაჟირებას, საუბარი არ არის სამსახურში აყვანაზე, თუმცა როცა მოეწონათ სტუდენტი, რომელიც შესაბამის დონეზე იყო მომზადებული და გამოავლინა პოტენციალი აიყვანეს კიდეც სამსახურში. იგი არ დაეთანხმა იმასაც, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მხოლოდ იურისტები მუშაობენ. ასევე ექსპერტმა ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, მიუღიათ თუ არა უარყობითი პასუხი სამინისტროდან სტაჟირებაზე, რაც საეჭვო იყო ვიანიდან, სამინისტროში მუდმივად არის სპეციალისტების ნაკლებობა და ხშირად ფიქსირდებოდა მოსაზრება, რომ უმაღლესი განათლების სიტემა მათ არ აძლევთ საშუალებას აიყვანონ კვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისად მათ პირველ რიგში ექნებოდათ სტაჟირების მხარდაჭერის სურვილი.

ექსპერტის განცხადებით, რაც შეეხებოდა სტუდენტების მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების საკითხს, სტუდენტები ძირითადად ირიცხებიან ბიზნესადმინისტრირების სამაგისტრო კურსზე, რადგან დაწესებულებას არ აქვს ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა. ეჭვის ქვეშ არ დგებოდა საბაკალავრო პროგრამის ავკარგიანობა, თუმცა სტუდენტები ვერ საქმდებოდნენ პროფესიით, ასეთი იყო სტატისტიკა. მას ესმოდა რომ პრაქტიკის უზრუნველყოფა დაწესებულებებისათვის არ არის მარტივი, თუმცა დაწესებულებას შეუძლია კონტაქტი დაამყაროს საქვეუწყებო საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, სადაც სტრუქტურულად გათვალისწინებული არის ეკონომიკის დეპარტამენტები. ეკონომისტი უნდა იყოს პირველ რიგში პრაქტიკოსი, ხოლო კვლევა და აკადემიური ხარისხი მისი განვითარების შემდგომი ეტაპია. ასევე სასურველია თუ კი დაწესებულება სტუდენტებისათვის დააწესებს ზღვარს პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის შემთხვევაში.

18:46 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა: 18:55 საათზე

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია სტუდენტური პრაქტიკის პროგრამის სავალდებულო ნაწილში გადმოტანა;
- მიზანშეწონილია გადაიხედოს სასწავლო კურსების შეფასება/შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნული უნდა გამომდინარეობდეს სასწავლო კურსის შინაარსიდან და შედეგებიდან და მიმართული უნდა იყოს თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების უზრუნველმყოფელ სამუშაოებზე;
- შეფასების სისტემის უფრო მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი იყოს ქვიზური ტიპის დავალებების სახეობა და შეფასების კრიტერიუმები;
- მიზანშეწონილია, რომ პროგრამის ძირითადი მაპროფილებელი დისციპლინები წარმართოს აკადემიურმა პერსონალმა და არა მოწვეულმა პერსონალმა, აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
- პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები დაქვემდებარებული უნდა იყოს პრინციპზე - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". მიზანშეწონილი არის ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე გაწერილი იყოს კონკრეტული სამოქმედო გეგმა პროგრამის განვითარებისათვის. პროგრამის ეფექტიანი მონიტორინგი შესაძლებელი არის მაშინ,

როდესაც არსებობს წინასწარ გაწერილი გეგმა და სამიზნე ნიშნულები. აღნიშნული უფრო სტრუქტურიზებულს გახდის პროგრამის მონიტორინგს, მის პერიოდულ შემოწმებას და შემდგომ განვითარებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10
მოწინააღმდეგე-0

გადაწყვეტილება:
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3[1] პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის:
საგანმანათლებლო პროგრამა - ეკონომიკა
საფეხური - ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ეკონომიკაში 0701

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, დაწესებულებას საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით განესაზღვრა 6 თვე, ცენტრში ანგარიშის წარმოდგენის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ 18:56 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი

სალომე თოთიბაძე